კლასტერები განვითარებისთვის - უკეთ განვითარებული ბიზნესი საქართველოში



განხორციელების ვადა: 01.07.2019 - 30.06.2023

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 5 300 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ)

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
n/a

პროექტის ვებსაიტები: n/a

პროექტის აღწერა:

ეკონომიკური განვითარება ევროკავშირის პროგრამების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ბოლო პერიოდში, ევროკავშირის მიერ განხორციელებული ინიციტები მხარს უჭერს კლასტერების განვითარებას, ანუ, ბიზნეს კლასტერების შექმნას, რაც მცირე და საშუალო კომპანიებს საშუალებას აძლევს იგივე ინდუსტრიის წარმოომადგენელ სხვა ბიზნესებთან პარტნიორობით გახდნენ უფრო კონკურენტული და შექმნან მეტი სამუშაო ადგილი.

პროექტი აგებულია უკვე წარმატებით აპრობირებული ინიციატივის შედეგებზე და ხელს უწყობს კლასტერების განვითარებას განვითარებასა და სტიმულირებას სამ სექტორში: ტანსაცმლის წარმოება, სამშენებლო მასალები და ტურიზმი. მთელი ქვეყნის მასშტაბით კლასტერების განვითარების ხელშესაწყობად აღნიშნული პროექტი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, სააგენტოსთან "აწარმოე საქართველოში" და სხვა სამთავრობო უწყებებთან.

მოსალოდნელი შედეგები:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, სააგენტოსთან „აწარმოე საქართველოში“ და სხვა სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობით დაგეგმილია კლასტერების განვითარების პროგრამის შემუშავება და განხორციელება.
- საკვანძო მნიშვნელობის მქონე უწყებებს, მაგალითად სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“, მიეცემა დამატებითი შესაძლებლობები მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად, არსებული სერვისების გასაუმჯობესებლად და ახალი მომსახურებების შესათავაზებლად.
- ბაზარზე ორიენტირებული კლასტერის განვითარება და საპილოტე მოდელის დანერგვა - კლასტერი გააერთიანებს ტანსაცმლის მწარმოებელ კომპანიებს ქვეყნის მასშტაბით, რომლებიც ისარგებლებენ ტექნიკური კონსულტაციით, რაც ხელს შეუწყობს სამეწარმეო პროცესის გაუმჯობესებას, საერთაშორისო ბაზრებთან კავშირების დამყარებას და ექსპორტს.
- ბაზარზე ორიენტირებული კლასტერის განვითარება და საპილოტე მოდელის დანერგვა - კლასტერი დაკომპლექტდება სამშენებლო მასალების მწარმოებლებისგან, შესაბამისი ბიზნეს-ასოციაციებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან. კლასტერის საქმიანობა მოიცავს უფრო მაღალი ღირებულების ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობას, ასევე, მეტად დივერსიფიცირებული და ინოვაციული სამშენებლო მასალების წარმოებას; შესაბამისი ტექნიკური სტანდარტებისა და ნორმების დაცვას; საქართველოში წარმოებული სამშენებლო მასალების ხარისხზე და მდგრადობაზე ფოკუსირებას.
- თემატური კლასტერები ტურიზმის სექტორში - ბაზარზე ორიენტირებული სამი კლასტერის განვითარება და საპილოტე მოდელების დანერგვა იმერეთისა და კახეთის რეგიონებში: (1) კახეთისა და იმერეთის ადგილობრივი ღვინისა და გასტრონომიული ტურიზმის კლასტერში გაერთიანდებიან სურსათის ადგილობრივი მწარმოებლები, ღვინის საწარმოები, რომლებიც მომხმარებელს ტურისტულ და სასტუმრო სერვისებს სთავაზობენ, რესტორნები და საოჯახო სასტუმროები, რომლებიც ადგილობრივი კულინარიული პროდუქციის რეალიზებას ახდენენ, ასევე, ღვინის ბარები და სექტორული ასოციაციები; (2) იმერეთის ავთენტური სასტუმროების კლასტერი მოიცავს იმ საოჯახო სასტუმროებს, რომლებიც ვიზიტორებს უკვე სთავაზობენ, ან აპირებენ რომ შესთავაზონ დამატებითი ტურისტული სერვისები და გამოცდილებები ავთენტურ გარემოში; (3) იმერეთის კულტურული მემკვიდრეობის კლასტერი გააერთიანებს სხვადასხვა დაინტერესებულ